საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

შაბათი, 4 ოქტომბერი 1919 წ. № 167.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახებს მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

**კ ა ნ ტ ო რ ა**

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 60 მ.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გაუბედურებული ქვრივი ლიუბა ალექსის ასული თვალჭრელიძე—ცახელისა შვილებით: თამარ, მარო, თინა და არჩილი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ კვირას 5 ოქტომბერს ახალი სტილით დილის 10 საათზე საფიჩხიის ეკლესიაზე დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი ვერაგულად მოკლულთა: დაუვიწყარ მეუღლის და ძვირფასი მამის

**პარმენ ივანეს ძე თვალჭრელიძის (პოეტ ცახელის)**

და მისი შვილის, 7 კლასის მოწაფის

**შ ო თ ა ს**

სულის მოსახსენებლათ. 1—1

დამწუხრებული დედა ანასტასია ქაჯაიასი, დები: კატო და მერე ქაჯაიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 4 ოქტომბერს დღით შაბათს მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

**მალიკო სიმონის ძე ქაჯაიას**

სულის მოსახსენებლად.

## ქუთაისის საფაზრო ეროვნა

...ცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ბალახვანის ქუჩის შესახვევში ბ. გაბელაშვილის ტყავის დასამზადებელ ქარხანაში 28 ეკენისთვეს დანიშნული საჯარო ვაჭრობა ასი ფუთი სასტელკე ტყავის გასაყიდათ ტყავის მოვაჭრეთა ...ცხვის დაუსწრებლობის გამო გადაიდო 5 მომავალ ოქტომბრისათვის 1919 ...დღის 12 საათისთვის. დაწვრილებით პირობების გაგება მსურველთ შეუძლიათ გაიგონ ქუთ. საფაზრო ეროვის სარჯახო განყოფილებაში. 3—3

## განცხადება.

...კვირას 5 წიფობისთვეს დღით 12 საათზე ყოფილ მიმწოდებელ კომიტეტის საწყობში (ჰავჰავაძის ქუჩა ციხის პირდაპირ) დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

...ავრილ დასველებულ შაქარზე, და ფეხსაცმელების საძირე ტყავის ნაჭრებზე. ვაჭრობაზე მსურველმა ფასები უნდა წარმოადგინოს დახურულ კონვერტში იქვე, კვირას დღის 2 საათამდის. საქონლის დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდის.

...—1 **დასავლეთ საქართველოს ერობათა კავშირის პრეზიდიუმი.**

**საქართველოს რესპუბლიკის საწონ-საზომის პალატა**

...ცხადებს რომ დღეის რიცხვიდან 15 ოქტომბრამდის ქალაქ ქუთაისში ...ხსნება დროებითი განყოფილება პალატისა თბილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ. ზემოთ აღნიშნულ ვადაში ყველა მეპატრონენი საწონ-საზომისა ვალდებულნი არიან წარმოადგინონ პალატის რწმუნებულის წინაშე საწონ-საზომი დასაბეჭდათ და დასასინჯავათ. ზემოაღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ მოხდენილ იქნება რევიზია და ის პირები ვინც საწონ-საზომის გაშინჯვას დაემალება ...დაისჯება ადმინისტრატიული წესით და გირები და სასწორი ჩამოერთმევა.

პალატის უფროსი რწმუნებული რეზვიაკოვი.

მოადგილის უფროსი მაღნარაძე.

**შაბათს, 4 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ქ. სამუსიკო სასწავლებელში გაიმართება**

## კ ო ნ ც ე რ ტ ი

შესრულებული იქნება ფორტეპიანოზე კლასიკთა და თანამედროვე ავტორთა თხზულებანი. მონაწილენი: დამსახურებული მუსიკოსი ლ. კნინა, ლარ. ქუთათელაძე და ნინო ანსიმოვა. 3—2

**ელპიდა ექვთიმეს ასულმა რუსაძისამ დავკარგე დღით ოთხშაბათს** ორი ოქროს საათი, ერთი გულის (ქალის) და ერთიც მაჯის თავის ძეწკვით. ორი ოქროს ბრასლეტი, ოთხი ოქროს ბეჭედი, ორი მათგანი ბრილიანტის თვლებით და საყურეები ოქროსი. ყველა ზემოაღნიშნული ნივთები გამოკრული იყო უბრალო ჰინჰში. მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვ ნაპოვნი ნივთები მოიტანოს მესხეთის ქუჩაზე, ალექსანდრე რუსაძის სახლში. მპოვნელს ჯილდოთ მიეცემა ხუთი ათასი მანეთი. 2—2

## საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

საფრანგეთის პარლამენტში დეპუტატის დემონვის შეკითხვაზე საგარეო საქმეთა მინისტრს განუცხადებია:

საფრანგეთის მთავრობას არც იურიდიულად და არც ფაქტიურად არ უცვნია ამიერკავკასიის რესპუბლიკები; ამიერკავკასიაში დიდი არეულობაა; ამიერკავკასიის რესპუბლიკათა არსობა წარმავალია; კერძოდ საქართველოს რაც შეეხება, ეს რესპუბლიკა აწარმოებს ომს რუსებთანა და სომხებთან; ამ რესპუბლიკების ფულს ღირებულება არ აქვს და ამიტომ ალემიცემობა მათთან არ მოგვარდა. ვცდილობთ კი, ეს საკითხი მოვაგვაროთ; სხვებრ საფრანგეთის მთავრობა ამიერკავკასიის ხალხთა თანაგრძნობითა და სიმპატიით ეკიდებაო.

იმავე დროს შეერთებულ შტატების პრესის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში მიჰმართავს ჩვენს პრესას ამ სიტყვებით: დიდი სახელმწიფოები ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას არა სცნობენ, ვინაიდან საქართველო-აძერბეიჯანი-სომხეთი განუწყვეტელ ომს აწარმოებენ ერთმანეთთან და ფინანსიურად აუტანელ მდგომარეობაში არიანო.

სუსტი ძლიერთან ყოველთვის მტყუანია, მაგრამ სუსტებსაც აქვს უფლება ხმა ამოიღოს და თავი დაიცვას.

და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს სრული უფლება აქვსთ მათი დამოუკიდებლობის უარყოფას უსამართლობა უწოდონ.

ჯერ ერთი, შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი საერთაშორისო ომს პატარა ერების განთავისუფლების დროშის ქვეშ აწარმოებენ.

კერძოდ საქართველომ მათ ორასი ათასი კარგი მეომარი მისცა. ნუ თუ მათი გმირობა და მათ მიერ დათხეული სისხლი დავიწყებული იქნება?!

საქართველო არც რუსეთთანა და არც სომხეთთან ომს არ აწარმოებს. რუსეთის მხრით ინგლისის სარდლობის შეწყობით გავლებულია დემარკაციული ხაზი, რომელსაც არცერთმა მხარემ არ უნდა გადააბიჯოს.

მართალია, მოხალისეებმა ხშირად დაარღვიეს პირობა და შეუსიეს საქართველოს თავისი რაზმები, მაგრამ განა მათი დანაშაული საქართველოს უნდა დაბრალდეს?

საქართველო-სომხეთს შორის ნეიტრალური ზონაა, რომელსაც შერეული ადმინისტრაცია განაგებს.

მაშასადამე, როგორც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ინფორმაცია, აგრეთვე ამერიკელი ჟურნალისტის—სწორი არ არის.

ცხადია, საფრანგეთის მინისტრი ჩვენმა მტრებმა შეიყვანეს შეცდომაში.

უნდა ითქვას, რომ რუსეთის მოხალისეებმა და სომხეთის დაშნაკცაკანებმა ჭორების კორიანტელი დააყენეს საქართველოს წინააღმდეგ. მათი მიზანია საქართველოს სახელი გაუტეხონ და ეს კარგი ლუკმა ხელიდან არ გაუშვან.

# დღიური.

**საქართველოს დელეგაცია საბახტარაშვილის მეთაურობით იტალიაში გაემგზავრა.**

**მისტერ ოლივერ უორდროპი ბაქოდან თბილისს დაბრუნდა.**

**გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა საქართველოს მთავრობას 300 მოწაფე გაგზავნოს გერმანიაში. მოწაფეებს გაანაწილებენ გერმანიის სკოლებში, სადაც გერმანიის მთავრობის ხარჯზე ისწავლიან.**

**ამერიკის წარმომადგენელმა პოლკ-მა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს განუცხადა, საზავო კონფერენციის მუშაობა განუსაზღვრელ დრომდე გაგრძელდება, რადგან მოკავშირეთა შორის უთანხმოებაა და რუმინია კონფერენციას არ ემორჩილება.**

**ინგლისში კვლავ ალაპარაკდენ ბოლშევიკების მორიგებაზე.**

**ფინლიანდიამ გადაწყვიტა ბოლშევიკებთან მოლაპარაკებას თავი დაანებოს.**

---

ჩვენ ვიცით, მაგალითად მოხალისეთა აფიცრები რომ იძახდიან: საქართველოსთვის ჯერ არა გვცალია; ჯერ მოსკოვს ავიღებთ, მერე კი საქართველოსთვისაც მოვიცლით, დამსჯელ რაზმებს შევუსევთ და ისეთს დღეს დავაყენებთ, რომ სამუდამოდ დაივიწყდეს ლეკურის თამაშიო.

დიახ! დროა იცოდეს ევროპამ: აგრესიულ პოლიტიკას მოხალისეები აწარმოებენ საქართველოს წინაალმდეგ და არა საქართველო რუსეთის წინაალმდეგ.

დასასრულ, ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა არ უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებლობის უარყოფის მიზეზად, ვინაიდან წარმავალია, დროებითია.

რუსეთის ეკონომიურ ფინანსიური მდგომარეობა უარესი არ არის?! ამისდა მიუხედავად ანტანტა არათუ სცნობს რუსეთის დამოუკიდებლობას, არამედ ცდილობს კვლავ აღადგინოს დაშლილი სახელმწიფო.

უნგრეთში ბოლშევიკური ანარქია იყო ამისდა მიუხედავად პარიზის კონფერენციამ არ უარჰყო მისი დამოუკიდებლობა იმ პირობით, თუ ბოლშევიკები გადადგებოდენ.

მეორე მხრით საქართველოს ეკონომიურ ფინანსიური კრიზისის ერთ ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ დღემდის არ არის აღიარებული მისი დამოუკიდებლობა.

ოღონდ კი დამოუკიდებლობა იცნონ და ფინანსიურ კრიზისს მალე მოეღება ბოლო.

ამ მხრით მანუგეშებელია, რომ ინგლისის პარლამენტის საგარეო კომისიას უცვნია ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აუცილებლობა.

და უეჭველია: თუ ინგლისმა გვიცნო, ჩვენს დამოუკიდებლობას საფრთხე აშორდება.

მაშ ჩვენმა მთავრობამ უნდა აწარმოოს თავისი საგარეო პოლიტიკა ინგლისის წარმომადგენლობასთან შეთანხმებით და იმავე დროს მოიპოოს საფრანგეთისა და შეერთებული შტატების მთავრობათა თანაგრძნობა ჩვენის ნორჩი რესპუბლიკისადმი.

ვასილ წერეთელი.

# პრესა.

ხონის ამბების შესახებ, რომელმაც დიდი განგაში გამოიწვია სოც.-დემოკრატიულ პრესაში, „საქართველო“ სწერს:—

„დამფუძნებელ კრებაში დროებით მოიხსნა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა შესახებ ხონის ამბებისა. ფრაქციამ საჭიროდ დაინახა თავის წევრის გაგზავნა ხონში საკითხის ადგილობრივ გამოსარკვევად. ამ ჟამად ფრაქციას უკვე ყველა საჭირო მასალები ხელთ აქვს და შეკითხვაც დაისმება დამფუძნებელს კრებაში პირველსავე სხდომაზე.

ის, რაც მოხდა ხონში, ფრიად დამახასიათებელია ჩვენი ადმინისტრაციის და საქალაქო თვითმართველობის მოღვაწეობისა.

რა მოხდა ხონში ისეთი, რომ საჭირო ყოფილიყო ასეთი რეპრესიების მიღება, მთელი ხალხის აღელვება და გაღიზიანება? არაფერი ასეთი. მოხდა ის, რაც მოხდა და ეხლაც ხდება სხვა ასეთსავე პატარა ქალაქებში. ამ ქალაქების მცხოვრებნი არ თანაუგრძნობენ ქალაქების ეხლანდელ წყობილებას, საქალაქო მართველობათა პოლიტიკას და სხ. მცხოვრებნი სრულიად ლეგალურად და მშვიდობიანი გზით იმუშავებენ, თხოვნებს მთავრობის სახელზე, რომ ამ პატარა ქალაქების დღევანდელი წყობილება შეიცვალოს თანახმად მცხოვრებთა სურვილისა.

მაგრამ ეს ხომ ამ ქალაქის დღევანდელ მეთაურთა წინააღმდეგ წასვლაა, მათი არ-რათ ჩაგდება? ასეთი ამაყური კილო აქვთ შეთვისებული ქალაქის და სოფლის დღევანდელ მეთაურებს. ყოველივე ასეთი თხოვნა და შუამდგომლობა უკვე „რევოლიუციონური მონაპოვარის“ წინააღმდეგ წასვლას მოასწავებს, რეაქციას და კონტრ რევოლიუციას! და თუ ეს ასეა, ყოველივე ასეთი მოვლენების წინააღმდეგ მათ ხომ სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ! ას[…] მათი ლოღიკა და ამის შემ[…] რა გასაკვირველია […] მაგრამ ამასთანავე ფრიად […] ფათო და საშიში ნაბიჯი გ[…] დგან?

ხონშიც ასევე მოხდა. ხ[…] და მის დღევანდელთა შორის […] ყარებულს არა ბუნებრივ უ[…] ერთობის საფუძველზე აღმო[…] და ფრიად სამწუხარო ექსცე[…] ხალხის გაგება, ხალხის ანგარ[…] გაწევა ყოველი გონიერი მთავ[…] ბისთვის არის სავალდებულო; […] ლო ასეთი მაგალითები, როგო[…] ხონის და სხვა ასეთი ქალაქ[…] მანიკენთა მიერ ხალხის ინტ[…] სების დავიწყება, ყოველთვის ა[…] ცუდს შედეგებს იძლევა.“

# ქართველები რუსეთში.

**ეპ. ალექსიის მიმართვა ოდეს[…] მყოფ ქართველ ელჩისადმი.**

ქართველ ელჩის ე. ი. უშვერ[…] სახელზე ეპისკოპ ალექსის შემ[…] მოწოდება — გაუგზავნია ოდეს[…] „ჩემამდის მოაღწია ცნობამ, […] ქართველები მხურვალე მონაწ[…] ობას იღებდნენ სამღვდელოების […] ნთავისუფლებაში და ისეთ საქმ[…] ეწეოდნენ, რომლებიც ბოწმ[…] მათ ერთგულობას რუსეთის მარ[…] მადიდებელ ეკლესიისადმი. უმო[…] ლესად გთხოვთ მიიღოთ ჩემგან […] ჰთელ ეპარქიისაგან გულითადი […] ლობა ამის გამო და გადასცეთ […] საუკეთესო მეგობრებს სარწმუნ[…] ბის მხრივ — სულის რაინდებს — […] თველებს.

**ქართულ საელჩოს წასვლა ო[…] სიდან.**

„ოდესის ლისტ.“ უკანასკ[…] ნომერში შემდეგი ცნობები გვ[…] ბა ქართულ საელჩოს ოდესიდან […] სვლის შესახებ.

---

# ამერიკის შკოლაში.

(დასასრული. იხ. „ჩვ. ქვეყ“. № 166).

ზოგიერთ პროგრამაში მითითებული და განსაზღვრულია სასწავლო წლების მიხედვით საზნეო საუბრების მასალა და ყოველი წლის პროგრამის ბოლოს ჩამოთვლილია რა და რა საზნეო შემეცნებაზე უნდა იქონიოს მასწავლებელმა და ხელმძღვანელმა მოსწავლეებთან საუბარი.

ამ სავარჯიშოსათვის სახელმძღვანელოებიც არის შედგენილი. მაგალითად არგაზანის შტატის ქ. რუსულის საშკოლო პროგრამაში III წლის კურსის მოწაფეებს მასწავლებელმა დაპირდაპირებით, შედარებებით და მაგალითებით უნდა აუხსნან და შეაგნებიონ უაღრესი მნიშვნელობა სიმართლისა, პატიოსნებისა, მოთმინებისა, გმირობისა, სამართლიანობისა, ადამიანთა და ცხოველთამდი კეთილმოპყრობისა, მოწყალებისა, მადლობისა, ქველობისა და შრომის მოყვარეობისა, მეოთხისა და შემდეგი წლებისათვის მასწავლებელი ანვითარებს იმავე შემეცნებებს და საკმაო დროს ანდომებს იმას, რომ მოწაფეს შეაგნებიოს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში თავდაჭერილობას, თვითშეზღუდვას, სახელმწიფო კანონების მორჩილებას, ღვთისა და საღვთო წმინდა საგანთადმი სასოებას შეთვისებას

ამასთანავე მასწავლებელი ცდილობს თვალწინ დაუყენოს მოწაფეს ბნელი და უარყოფითი მხარეები და სამწუხარო შედეგები სხვა და სხვა ბიწურებისა — და განსაკუთრებით შედეგი სიცრუისა.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ზნეობითი აღზრდის საშვალებათ ისიც მიაჩნიათ, რომ მოწაფეებს მასწავლებელი ნდობით ეპყრობოდეს.

წერილობითი ვარჯიშობის დროს რომ ჩვენში მასწავლებელი მოწაფეს ქორივით მისჩერებია, არ გადმოიწეროს სხვისაგან, ან შპარგალკა არ ქონდეს სადმე — დამალულიო — ეს ამერიკის შკოლაში შეუძლებელია. იქაურს მოწაფეს სრული თავისუფლება ეძლევა ასეთი ვარჯიშობის დროს, რადგანაც მოწაფეთა ყოფა ქცევა ამ შემთხვევაში არავითარ უნდობლობას არ იწვევს.

თუ რამე დანაშაულისათვის მასწავლებელს გამოკითხვა დასჭირდა, იგი საკმარისად თვლის მოსწავლის მიერ განცხადებულს ჰოს და არას.

მაგრამ, სამწუხაროდ, თუ აღმოჩნდა, რომ მოწაფის ჩვენება სიცრუე და ყალბია, მას მკაცრად სჯიან და ასეთი მოსწავლე მასწავლებლის ნდობასაც დროებით უნდა გამოეთხოვოს.

ასეთი შემთხვევა იშვიათად მოხდება ხოლმე. იქაური მოწაფე პავშობიდან ითვისებს, რომ სიცრუე მეტად მდაბალი საქციელია და, თუ ზოგიერთს მაინც ესეთი ბიწი შეემჩნა, ამას შემდეგ თავის თავი ამხანაგთა შორის შერცხვენილად მიაჩნია და ამხანაგებიც მას ისე ეპყრობიან, როგორც სახელგატეხილს და შერცხვენილს.

ამერიკელი ბავში შკოლაში მიბარების დღიდან იმ შეგნებით იმსჭვალება, რომ სიცრუე მოტყუებაა, ტყვილი წვრილმანებშიაც კი საზიზღარია, სწორედ ამიტომ საუმჯობესოდ მიაჩნია თვისს დანაშაულში გამოტყდეს, რომ მთელი კლასისა და ამხანაგობის ნდობა და პატივისცემა არ დაკარგოს.

მასწავლებელი რომ ამ საფრთხილო საგანს ღირსეულათ წაუძღვეს, რომ კარგათ აწარმოვოს საუბარი საზნეო კითხვებისა და კარგი ყო[…] ქცევის შესახებ, ამისათვის ამერი[…] პედაგოგებს შედგენილი აქვთ გა[…] კუთრებული სახელმძღვანელო.

რელიგიური გავლენა შკოლაში[…] ბლიის კითხვითაა შემოფარგლუ[…] სწავლის დაწყებისას მოსწავლ[…] კითხულობენ ლოცვებს, ჰგალო[…] საღვთო საგალობლებს. ბიბლი[…] ისეთს ადგილებს არჩევენ საკი[…] ვეთ, რომლის შინაარსიც ზნე[…] ლენას ახდენს მოწაფეზე.

დიდი ზნეობითი აღმზრდელობითი[…] შვნელობა აქვს აგრეთვე იმ დღესა[…] ულებს, რომლებშიაც აქტიურ მ[…] წილეობას იღებს ამერიკის მოს[…] ლე ახალგაზრდობა.

ასეთ საზეიმო დღესასწაულთა შ[…] რის შესანიშნავი სამია: 1) ვაშ[…] ტონის დაბადების დღე, 2) შემო[…] დისადმი სამადლობელი ზეიმი დ[…] ტყეობა, ანუ ტყის დღე,

ვაშინგტონის დღეს იმართება[…] ტრიოტული ცერემონიები: შკო[…] სახლს ამშვენებენ დროშებით, […] ფებზე ყვავილებით ხატავენ ვაშ[…] ტონის სურათს, სწერენ დღესას[…] ლის შესაფერ ლექსებსა და თქმუ[…] ბებს; მოსწავლეები გროვდებიან შ[…]

**ქართველ ელჩისაგან.**

...სახელზე აგვისტოს 18 ს. 1 ...შერს შემდეგი წერილი მივი...

...ნერალ დენიკინის მთავრობას ...ქართველოს შორის შექმნილ ...მართების გამო, მოხალისეთა ...რის მე-3 მე კორპუსის უფ... მიულებლად მიაჩნია თქვენი ...წეობის გაგრძელება, როგორც ...ველოს ელჩისა ამასთან მას ...რი აქვს საწინაამდეგო, რომ ...იცხოვროთ ქ. ოდესაში რო... კერძო პირმა. შემდეგში გაუ... თუ ვის მიენდობა უცხო ქვე... ...მთა დაცვა.

**...ოვნიკი ტუგან-ბარანოვსკი.**

...მოდ მოყვანილ დოკუმენტის ...ძულებული ვარ რა დავტო... ოდესა, არ შემიძლიან გული... მწუხარება არ გამოვთქვა იმის ...რომ მე არ შეძლევა საშუა... დავასრულო ყველა ის საქმეე... ...რომელიც მომანდვეს აპრილის ...ის ოდესიდან გასულ მისიებ... ...ის გამო არ შემიძლიან მატე... ...რი და უფლებრივი დახმარე... ...მოუჩინონ როგორც უცხო, ...ის მოქალაქეთ. ვსარგებლობ ...შეთხვევით, გულითად მადლო... ...ლვენი ყველა მათ, ვინც ამ 5 განმავლობაში ქართულ საელ... ...ან ერთად მუშაობდა გაჭირვე... ...თა დასახმარებლად.

...ლობას ვწირავ კერძოდ, ...აე საბჭოს კოლეგიებს, საელ... ...ან არსებულ საევაკუაციო კო... ...ს წევრებს, უცხო კოლონიე... ...ავმჯდომარეთ და წევრებს.

...როდ მიმაჩნია აგრეთვე ალვ... ...რომ ჩემგან დამოუკიდებელ ...ების გამო დრამატიულ თეატ... ...შებათისათვის დანიშნული წარ... ...ენა ყველა, გაჭირვებულთა სა ...ლოდ განუჩევლად ეროვნები... ...რ შესდგება. მაინც ცხოველ ...ობას უძღვნი მსახიობებს

# ახალი ამბავი
## ქუთაისი.

**ჯამაგირების მომატება.** ქუთაისის ქალაქის საბჭომ 2 ოქტომბრის სხდომაზე მილიციის შემადგენლობას 1 ოქტომბრიდან ჯამაგირები მოუმატა. თანახმად მომატებული ჯამაგირებისა მილიციის უფროსს მიეცემა თვეში 2500 მანეთი, მის უფროს თანაშემწეს კი — 1800 მანეთი სისხლის სამართლის მილიციის უფროსს მიეცემა 2000 მანეთი. უბნის კომისრებს 1500 მანეთი და მათ თანაშემწეებს კი 1400 მანეთი.

✦ **საფუთო გადასახადი.** განზრახულია ქუთაისში შემოღებულ იქმნას საფუთო გადასახადი ამის გამო საშაბათს, 7 ოქტომბერს დანიშნულია ქალაქის საბჭოს სპეციალური სხდომა.

✦ **ყულაბებით ფულის შეგროვება.** 5 ოქტომბერს ქ. ქუთაისში ტანვარჯიშობის „შავარდენის“ საზოგადოების სასარგებლოთ, გაიმართება ყულაბებით ფულის შეგროვება.

✦ **ქალაქის კავშირის ლაბარატორია.** ქალაქის საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: მიიღოს თავის განკარგულებაში ქალაქთა კავშირის ლაბარატორია.

✦ **ხმოსანმა** მიტროფანე ლორთქიფანიძემ ქალაქის ხმოსნობაზე უარი განაცხადა, მის მაგივრად საბჭომ დავ. კლდიაშვილი მიიღო.

✦ **აფთიაქში მოსამსახურეები.** თანახმად სატარიფო პალატის დადგენილებისა ქალაქის საბჭომ ქალაქის აფთიაქებში მოსამსახურეებს თვეში 10 000 მანეთი მოუმატა.

✦ **ერობის თავმჯდომარე.** ქუთაისის მაზრის ერობის თავმჯდომარე კ. სულაქველიძე სკოლების სარევიზიოთ კულაშში გაემგზავრა.

✦ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ჩვენი გაზეთის ნომერში შემდეგი სამწუხარო შეცდომა არის კაინის წერილში „ნაკვთების“ მეორე სვეტში პირველ სტრიქონში უნდა ეწეროს:

„ძალიან სასიამოვნოა რომ ქართული გვარი გქონიათ“. ეს სიტყვები შეცდომით გაშვებულია იმავე გაზეთის სამს. ყიფიანის ფელეტონის მეექვსე სვეტის თავში.

# ნაკვთები.
## V
### შეიბრალეთ ცხენები.

ქალაქის თვითმართველობას ყავს ერთი ჯურის მოსამსახურეები.

ქალაქის განაპირა უბნებში რომ უყვართ დგომა.

მაუზერებით!..

ცენტრიდან გათენებამდის მიეშურებიან: —

და სოფლებიდან შემოსულთ ახდევინებენ:

ურემზე 10 მანეთს.

ცხენზე 5 მანეთს.

ეს ფული თურმე ქალაქის კასაში უნდა შევიდეს, ქალაქის სხვადასხვა საჭიროებისათვის.

მიზანი სიმპატიურია..

კარგია, როცა ქალაქის წყაროები დიდდება, ქალაქის მდგომარეობა უმჯობესდება.

მაგრამ ..

თურმე ნუ იტყვით ქალაქის გარ და სხვა დანიშნულებისათვისაც მიდის ეს ფული.

ქალაქმა ჯერ არ იცის!..

მაგრამ სოფლები აღელვებულია.

მაუზერიანებს ყალბი ბილეთები აქვთ.

ბევრს ბილეთებსაც არ აძლევენ.

მე ღრმად დარწმუნებული ვარ მათ პატიოსნებაში, მაგრამ ჩემდა უნებურად, ხანდახანს ეჭვი გამივლის, ხოლმე და ვფიქრობ.

სად მიდის უბილეთოდ აღებული ფული!..

ვის მიაქვს ყალბი ბილეთებით შეკრებილი თანხა?!..

არ ვიცი, შეიძლება ქალაქის თვითმართველობას ჰქონდეს მეორე კასა, სადაც ამ რიგად შეგროვილი ფული შედიოდეს, მაგრამ მე სულ სხვა გადმომცეს:

მიჯირს ღმერთმანი თქმა.

მაგრამ სულ ერთია, არ დაიმალება.

გადმომცეს ვითომც ეს ფული აი იმ მაუზერიანთა „გალიფის“ ჯიბეებში ჩადიოდეს.

მაგრამ მე კი არ მჯერა!

არა!..

* *
*

ფულის არაფერია!..

აბა რა ღირებულება აქვს ეხლა საქართველოს, აგერ კავკასიის და თუ გნებავთ ნიკოლოზის ასიგნაციებ, საც!..

არავითარი.

და დღეს ყველა თავის სასარგებლოდ აკეთებს საქმეს. ყველა თავის ჯიბეს ისქელებს.

მაგრამ ის მაუზერიანები ფიცხი ხალხი ყოფილან.

ვისაც ფული დამზადებული ხელში აქვთ, ვაი მათ დღეს.

იმ დღეს სოფლიდან ერთი გლეხი ცხენით მოდიოდა.

კარგი ცხენი ...

ეხლანდელ ფასობაზე ასე 20 ათასი ეღირებოდა.

ცხენოსანმა ვერ შენიშნა მაუზერიანი და გვერდი აუარა.

აღელდა იგი.

მაუზერი ამოიღო და ცხენს შუბლზე დაუმიზნა.

უმტყუნა.

არ გავარდა, თორემ ცხენი გათავდებოდა.

20 ათასი დაიკარგებოდა 5 მანეთისათვის.

კარგი კიდევ რომ რევოლვერი არგავარდა, თორემ ვინ იცის ქალაქს მკვდარი ცხენის გადათრევა რამდენი დაუჯდებოდა.

მაგრამ რას ერჩიან ცხენებს!

რა დანაშაულობა მიუძღვით მათ!.

კარგი იქნება, ქალაქის თვითმართველობა თავის მაუზერიანებს წინადადებას მისცემდეს:

რომ შეიბრალონ ცხენები!.

**კაინი.**

# წერილი დედა ქალაქიდან.
(საკ. კორესპონდენტისაგან)

ადლით ტყეები არ გაიზომება და პატარა წერილით დიდი საკითხი არ გაშუქდება, მაგრამ მაინც მინდა მოკლეთ გავაცნო საზოგადოებას ის მდგომარეობა რომელსაც ადგილი აქვს საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო სამინისტროდან გამოყოფილ საქონელის გამცვლელ კომიტეტში.

საქართველოს რესპუბლიკის მესვეურთა ლოზუნგში, როგორც ყველას გვახსოვს ერთი ასეთიც იყო „ებრძოლეთ სპეკულიაციას“-ო.

ებრძვიან? ალახმა უწყის! სხვა უფლება ყველა წართმეული გვაქვს, მაგრამ, შიაბეჭდილების უფლება ჯერ არავის წაურთმევია და ჩემგან გამოტანილი აზრი ასეთია:

სპეკულიაციას უსათუოთ უნდა ვებრძოლოთ და ამოვფხრათ, მაგრამ რას წარმოადგენს დღეს საქონლის გამცვლელი კომიტეტი?!.

ერთი „ფრაზა“ მახსოვს. იგი ნათლად გვაჩვენებს იქაურ ატმოსფერას, ერთი სპეკულიანტი გაბრაზებული გამოვიდა და წამოიძახა.

— „Чортъ возми здѣсь оказывается гнѣздо спекуляціи, даже последній регистраторъ знаетъ больше насъ „въ этомъ дѣлѣ“-ო.

ეს ის კომიტეტი გახლავს რომელიც აწარმოებს სახელმწიფოში გაცვლა გამოცვლისა და ნებართვებს იძლევა საქონლის გატანაზე.

ვის გამოაქვს ნებართვა?
ქართველს — ურიისათვის
ქართველს — სომხისათვის
ქართველს — სპარსელისათვის, თათრისათვის და სხვა და ქართველს რომ თავისათვის ჯერ ნებართვა გამოეტანოს არ მომხდარა და თუ საჭირო იქნა გამორკვევა იმისი თუ როგორ განვითარდა საქართველოში ვაჭრობა მრეწველობა სტატისტიკის მიხედვით, რომელიმე წარმომადგენელი მოხსენების დროს პირზე ქაფ მომდგარი წამოიძახებს საქართველოში ვაჭრობა მრეწველობა განვითარ;

---

...სადაც წარმოითქმება შესა... ...იტყვები და გუნდი გასძახის ...ობლეს: წარმოითქმება მრავა... ...დღესასწაულის შესაფერი ლექ... ...კითხულობენ დამოუკიდებლო... ...გამოცხადების აქტს, ვაშინგტო... ...ანდერძისადმი მიმართვის წერილს... ...ულოეს.

...დღობელი დღე ნაციონალუ... ...ერო დღესასწაულია, რომე... ...წლის დამლევს მოდის.

...სპუბლიკის პრეზიდენტის მოწ... ...მებრ მთელი ხალხი ღებულობს ...ილეობას მსახურება ზეიმში, ...ენ ღვთისადმი ქება-დიდებას ...განმავლობაში მოწყალების ...ლის მინიჭებისათვის და სთხო... ...შემოქმედს, რათა ასეთივე მოწ... ...ბა არ მოაკლოს მას შემდეგ... ...ს.

...ს საქველმოქმედო საქმეებიც ...მოხდეს: ზოგ ბავშს კვერცხი ...ს, ზოგს კარტოფილი, ზოგს ...ჩაი, შაქარი. ამგვარად იკ... ...დიდი შეწირულება; ამას ...ნ და შემოსული ფულით ...ეს ოჯახს ინახავენ მთელი ...განმავლობაში.

...დღეობაში დიდს აქტიურს მონაწილეობას იღებს შკოლის ახალგაზდობა ზეიმში.

ეს დღე შტ. ნებრსკის დღეა ეს შტატი თურმე ნამეტანი ხრიოკი ალაგი იყო. აქაურ გუბერნატორს აზრად მოუვიდა ფლორის დღეობის დაარსება. დანიშნულს დღეს თურმე მილიონი 1,000,000 ხე დარგეს და სულ ცოტა ხნის განმავლობაში 400 კვად. მილის სივრცე შესამჩნევი ტყით შეიმოსა. აქიდან მთელ ამერიკის კავშირში გავრცელდა ხსენებული საზეიმო დღე, რომელშიაც ბავშები დიდს მონაწილეობას იღებენ.

ამ დღეს ბავშები შკოლებს ამკობენ სხვა და სხვა ყვავილებით. ტოტებით, გვირგვინებით, რგვენ მცენარეებს, ნერგებსა რწყვენ, უვლიან და სხვ.

ამერიკული პედაგოგები ასეთს მუშაობას ესტეტიური აღზდის მნიშვნელობას აძლევენ.

მასწავლებლები ესაუბრებიან მოზარდ თაობას მცენარეთა მნიშვნელობაზე; მოწაფეები მღერიან ყვავილებისა და ხეების შესახებ შედგენილ სასიმღერო ლექსებს.

**სამსონ ყიფიანი.**

და, 99% მრეწველნი გახდნენ! მოტყუებულან!

მაგრამ ჭირ გამოვლილი ბელურა განა მოტყუვდება?

არასოდეს.

კარგათ იციან რომ საქართველოს რესპუბლიკას ჯერ არცერთი ვაჭარი არ მომატებია გამცვლელ კომიტეტის საშვალებით.

მაგრამ „ხელი ხელსა ბანს და ორივე კი პირს“

აი რაში ყოფილა საქმე:-საგანგებო რაზმის შენახვა საქართველოს რესპუბლიკას უჯდება მილიონობით, სპეკულიანტებიც მრავლდებიან მილიონობით, რას ნიშნავს ეს!..

რომ სთქვა არ ვარგნანო, მზათ გაქვს სახაზინო ადგილი მეტეხში და თუ არ იტყვი უნდა უყურო სამშობლოს განადგურებას.

მაგონდება ერთი ამბავი: „კარდინალი მაზარინი კვდებოდა. ექიმები დარწმუნებული იყვნენ რომ იგი არ გადარჩებოდა, მაგრამ ფარისევლობას დაჩვეულნი, ეუბნებოდენ მინისტრს:- თქვენ ისეთი საჭირო ხართ სამშობლოსათვის, რომ ღმერთი თქვენს თავს კიდე ას წელიწადს არ წაგვართმევსო. ბოლოს კარდინალმა მოიხმო ერთი ექიმი და უთხრა: გამსინჯეო. ექიმმა გასინჯა-არ მოერიდა მინისტრის სიმკაცრეს და პირდაპირ უთხრა: 24 საათში აღარ იქნებითო!

ეჰ! ღმერთო ეღირსება კი ოდეს მე ჩვენ ტანჯულ ერს ასეთი ექიმი?!

**ლევან ყიფიანი**

---

# ქალაქის საბჭო.

2 ოქტომბერი.

თავმჯდომარეობს ალ. თორაძე.

თავმჯდომარე კრებას ხსნის საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე, და სანამ საკითხების გარჩევას შეუდგებოდენ, აცხადებს, რომ ხმოსანი მიტ. ლაღიძე ხმოსნობას თავს ანებებს და მის მაგივრად ადგილს იკავებს დავ კლდიაშვილი.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს დღის წესრიგს. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) საფუთო გადასახადის შემოღება. 2) სანიტარული წესების დასაცველი სათანადო ზომების გამომუშავება. 3) საავათმყოფოს შესაკეთებლათ შედგენილი ხარჯთ აღრიცხვის განხილვა. 4) ერთდროული სანიტარული გადასახადების მოქალაქეებზე გაწერა. 5) სკოლების შესანახი ხარჯთაღრიცხვის განხილვა 6) მილიციის უფროსის, მისი თანაშემწეების, კომისრების და კომისრების თანაშემწეების ჯამაგირების გადასინჯვა. 7) სატარიფო პალატის დადგენილების თანახმად აფთიაქებში მოსამსახურეების ჯამაგირების გადასინჯვა. 8) სამსახურში ერთგულობის და სიყოჩაღის გამოჩენისათვის კომისარს, კომისრის თანაშემწის და მილიციონერებისათვის ერთდროული ჯილდოთ 1550 მ. მიცემა. 9) ქალაქ კავშ. ლაბორატორიის ქალაქის განკარგულებაში მიღება. 10) საშემოსავლო საკრებულოს (სამი უბნისათვის) 12 ი წევრის და ამდენივე მათი კანდიდატების არჩევა. 11) კურციკიძის სახლის დარღვევა და მისი ქალაქის ადგილიდან გადატანა და 12) განხილვა სხვადა სხვა პირთა თხოვნების ერთდროული დახმარების აღმოჩენაზე.

ქალაქის თავი თხოულობს დღის წესრიგიდან მოიხსნას 1, 2, 3 და 4 საკითხები, რადგან ეს კითხვები საფინანსო კომისიას არ განუხილავს, რაც საბჭომ მიიღო.

კ. **სულაქველიძე** წინადადებას იძლევა საფუთო გადასახადისათვის დანიშნულ იქნეს განსაკუთრებული სპეციალური სხდომა.

წინადადება მიღებულ იქნა. სპეციალური სხდომა საფუთო გადასახადის შესახებ დაინიშნა სამშაბათს 7 ოქტომბრისათვის.

**წყალსადენი.**

ქალაქის მოურავი თხოულობს, რომ ხსენებულ სპეციალურ სხდომამ მოისმინოს პროექტი წყალსადენის შესახებ. ეს პროექტი მიღებულია გერმანეთიდან. საბჭომ ესეც მიიღო.

**ყულაბებით ფულის შეგროვება.**

ქალაქის თავი კრებას აუწყებს, რომ თბილისის ტანვარჯიშობის „შევარდენის“ საზოგადოების გამგეობამ გვთხოვა 5 ოქტომბერს, როცა „შევარდენის“ გამოსვლა იქნება ნება დავრთოთ ქუთაისში ყულაბებით ფულის შეგროვებისა. იგი საბჭოს მოაგონებს, რომ ყულაბებით ფულის შეგროვება აკრძალულია, მაგრამ რადგანაც დიდია მნიშვნელობა „შევარდენის“ საზოგადოებისა ნება უნდა მივცეთო. საბჭომ ამის შესახებ დაადგინა, რომ „შევარდენის“ საზოგადოებას ნება მიეცეს 5 ოქტომბერს ყულაბებით ფული შეაგროვოს.

**სკოლების ხარჯთ-აღრიცხვა.**

სკოლების შესახებ მოკლე მოხსენებას აკეთებს სერ. რობაქიძე. როგორც მოხსენებიდან სჩანს შ.რ.შან ქალაქისათვის გადაუციათ ქალაქში არსებული ყველა სამინისტრო და სამრევლო სკოლები. მთავრობა იხდის მხოლოდ მასწავლებელთა ჯამაგირებს. დარაჯებს კი ჯამაგირები არ ეძლევათ. წელს ქალაქის ხელში გადასულა კიდევ გიმნაზიებთან არსებული მოსამზადებელი კლასები. დარაჯების ჯამაგირს მთავრობა არც აქ იხდის. ამისათვის,—ამბობს რობაქიძე,—უშუამდგომლოთ ქალაქის გამგეობის სახელით, რომ თითო კლასში ვიყოლიოთ თითო დარაჯი, რომელთა შესანახავათ დასჭირდებათ წლიურად 173,000 მანეთი. ჩვენ აგრეთვე შუამდგომლობას აღვძრავთ, რომ სამერმისოთ ეს ხარჯები თვით მთავრობამ გასწიოს.

საბჭო შუამდგომლობას აკმაყოფილებს.

**მილიციის ჯამაგირების გადასინჯვა.**

დიდი კამათი გამოიწვია მილიციის შემადგენლობის ჯამაგირების მომატების საკითხმა. რამდენიმე ხმოსანი ამტკიცებდა, რომ გამგეობის მიერ წამოყენებული ჯამაგირები კიდევ ცოტაა. კამათის შემდეგ გამომუშავებულ იქნა ასეთი ჯამაგირები:

მილიციის უფროსს 2500 მ. მილიციის უფროსის თანაშემწეს 2000 მ., მეორე თანაშემწეს 1800 მ. სისხლის სამართლის მილიციის უფროსს 2000 მ., საუბნო კომისრებს 1500 მ. და მათ თანაშემწეებს კი—1400 მან.

მომატებული ჯამაგირები მათ მიეცემათ 1 ოქტომბრიდან.

**სატარიფო პალატის დადგენილება აფთიაქებში მომუშავეებზე ჯამაგირების მომატების შესახებ.**

ალ. ჯაფარიძე ამბობს, რომ 19 აგვისტოს სატარიფო პალატამ გამოიმუშავა ნიხრი აფთიაქებში მოსამსახურეებისათვის, რაც სავალდებულოა. დღემდის აფთიაქებზე იხარჯებოდა 50,000 მ. სატარიფო პალატის მიერ გამომუშავებული ჯამაგირებით კი 60.000 მ.

ამ საკითხმაც დიდი კამათი გამოიწვია, რის შემდეგაც მიღებულ იქნა.

**ჯილდოს მიცემა.**

სამსახურში ერთგულობის და სიყოჩაღის გამოჩენისათვის გადაიდო კომისარის, მისი თანაშემწის და მილიციელებისათვის 1550 მანეთი.

**ქალაქთა კავშირის ლაბორატორიის ქალაქის განკარგულებაში მიღება.**

ეს ლაბარატორია არ არის დიდი ხანი რაც ქუთაისში გაიხსნა. პირველ თვეში არ ჰქონდა არავითარი შემოსავალი, მაგრამ ამ ჟამად თითქმის ასწორებს თავის ხარჯებს და იმედი აქვთ რომ მოგებაც დარჩება.

საბჭომ დაადგინა ეს ლაბარატორია თავის განკარგულებაში მიიღოს.

გაირჩა კიდევ წვრილი საკითხები, რომელსაც აქ არ ვათავსებთ, რადგანაც მკითხველთათვის ინტერესს მოკლებულია.

კრება თავმჯდომარემ 11 საათზე დახურულად გამოაცხადა.

---

# ხმა სვანეთიდან.

სვანეთიდან ერთი დღის სავალზე ბუდობს ძალა დენიკინისა, რომელიც პირველი მტერია საქართველოს დამოუკიდებლობისა, ეს გზა დიდ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსათვის, თუ კი სვანები მარჯვედ არ იქმნებიან და სიფრთხილით არ მოეკიდებიან ამ საქმეს.

მაგრამ სვანეთი საქართველომ რაც უნდა გარიყოს, თავის სამშობლოს შეურაცხყოფას ვერას დროს ვერ შეეგუება გულ-დამშვიდებით და ვერც ვერვინ გაჰბედავს მათ სამშობლოს შეურაცყოფას მათი მიწა-წყლის საშვალებით, სანამ იგი იარსებებს.

პირველი გზა, რომლის საშვალებითაც საქართველოს შეუძლია წინ წასწიოს დღეს ჩამორჩენილი ყოველის მხრით განაპირა კუთხეები სწავლა-განათლებით, ქონებრივად და ყოველმხრით—ეს გზა არის გზების გაყვანა.

გზას ყოველთვის თან შეაქვს სწავლა-განათლებაც სიმდიდრეც და ყოველივე მისთვის საჭირო.

დღეს, რომ სვანეთში გზა გადიოდეს, უბრალო ღარიბ მუშა გლეხს შეეძლება მარტო შეშით არჩინოს თავისი ოჯახი.

სვანეთი, როგორც მოგეხსენებათ ძალიან მდიდარი არის მადნეულობით ჩე ტყით და სხვ.

სვანეთში, რომ გზა გააკეთონ, ამ ხარჯს ეს გზა მოკლე ვადაში გასწო[რებს] დიდს უსაზღვრო მოგებასაც [მისცემს] სახელმწიფოს.

[illegible] რომ [illegible] [illegible] ყველ[...]

ამნაირად მარტო გასავალი შემოსავალი არაფერი. მ[...] იმას კი არ ნიშნავს, რომ [...] სფერი ჰქონდეს, არა, ეს [...] ლი არის, რომ მან საშიშ[...] და გამოიაროს, არც კი იც[...] ხალი მიაღწევს თუ არა [...] მითხარით ამისთანა გზაზე მარტო ხელა კაცი ძლივს[...] ბლავს ან რა უნდა ჩამოიტა[...] ის რა ფასი უნდა ეღიროს ნაწვალევი ან და როგორ [...] ნოს?—

სვანეთს, რომ გზა ჰქონდ[ეს] ძლია საქართველოს რეს[პუბლიკა] დააკმაყოფილოს ბუნებრივი [...] რით, მადნეულობით, ხე-ტყ[...] ლახო მთებით, მჟავე წყლ[...] სხვა.

დღეს სვანეთში, სადაც სა[...] მთებია, თავის საბალახოები[...] ვრებლებს შეუძლიათ მარტო[...] ჯოგეობას მოჰკიდონ ხელი [...] ირჩინონ თავი. მაგრამ რათ[...] ან მეჯოგეობა ან სხვა რამე, [...] საც მათ არ შეუძლიათ ეს [...] ნაწარმოები-ყველი, ერბო, და სხვა გამოიტანონ საერთო [...] ზე, რადგან გზა არ მოეპო[...] ამისვე მიზეზით არ ჰკიდებს ამ დარგს მეურნეობისას ხე[...] როდესაც სვანი შეჰხედავს, [...] აქვს გზა და უშიშრად [...] როგორც უნდა შორს, მაშ[...] უფრო მტკიცედ მოჰკიდებს [...] უფრო განავითარებს მეურნეო[ბას] მელიც დღეს ეგრე დაცემულ[...]

ამავე უგზო-უკვალობის [...] რომ სვანეთი ეგრე ჩამო[...] არის სწავლა-განათლებას. ს[...] ნებით ნიჭიერია, მაგრამ ამ[...] ნიჭს ახშობს ეს თვისი უგზობა და ამავე უგზოუკვალობ[...] გამოწვეული, მიზეზი სიღარი[...]

საწყალ სვან ახალ-გაზდას, [...] ლსაც ხურს სწავლა, ერთის [...] ეს სიღარიბე უკარგავს იმ[...] მეორეს მხრით ის მთები, რო[...] მავს დარაჯებსავით შემორტყ[...] რომ მას დაუხშონ გონება, [...] ის ბუნებისგან ალგზნებულ[...] რომელიც პირველად მისსავ[...] თებზე გაიფურჩქნა და რო[...] რომ დაიხშო მისსავე სიმკაც[...]

სვანეთი მივიწყებულია, მაგ[...] ვრობამ არ უნდა დაივიწყოს [...] ველოს რესპუბლიკა, რადგა[ნ] გზა, რომელსაც თქვენ [...] სვანეთი, სახელმწიფოსათვის [...] მნიშვნელობა აქვს საქართველ[...] მარტო მადნეულობით და [...] რომლითაც ბუნებას სვანეთ[...] დაუჯილდოებია, დაიკავებს ადგილს მსოფლიო ბაზარზე, ხელმწიფოს შეუმსუბუქებს [...] რეობას ეკონომიურად.

ბ. მუ[...]

---

რედაქტორი — სარედაქც[იო] კო[...]

---

სტამბა ნ. ფერაძისა და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.